



**TBILISI HUMANITARIAN  
TEACHING UNIVERSITY**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
ჯანდაცვის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 13 / 2016

თბილისი

28 ივნისი 2016 წ.

სხდომა დაწყების დრო: 11.00

სხდომის დასრულების დრო: 12.00

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორები: პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი, პროფ. ხათუნა ქორიძე, პროფ. თამარ მოსიძე, ასოც.პროფ. რუსუდან დევნოზაშვილი, ასოც. პროფ. გიორგი ბერიაშვილი, ასოც პროფ. ხათუნა კალაძე, ასოც. პროფ. ირინა კალანდაძე.

სტუდენტები: თ. ჩადუნელი, თ. სიყმაშვილი, თ. მერებაშვილი

ქვორუმი: 8

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: მათა სახოკია

დღის წესრიგი:

1. ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების რუსტამოვა ხაილასა და რუსტამოვა ჯალიას სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი (მომხ. პროფ. ილონა საყვარელიძე)

მოისმინეს:

თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (რუსულენოვანი) პროგრამის სტატუსშიჩერებულ სტუდენტებს: რუსტამოვა ხაილასა და რუსტამოვა ჯალიას დაწერილი აქვთ პირადი განცხადება სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, რის საფუძველზე დასაშვებია მათთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენა 2016 წლის 28 ივნისიდან, ხოლო სასწავლო პროცესში ჩართვა 2015-2016 წლის საშემოდგომო სემესტრიდან.

აზრი გამოთქვას: პროფ. თამარ მოსიძემ, პროფ. ნინო ორმოცაძემ.

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოს დამსწრე 12-ვე წევრმა.

გადაწყვიტეს:

1. აღუდგეს სტუდენტის სტატუსი რუსტამოვა ხაილას – 2016 წლის 28 ივნისიდან, ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე;
2. აღუდგეს სტუდენტის სტატუსი რუსტამოვა ჯალიას – 2016 წლის 28 ივნისიდან, ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (რუსულენოვან) პროგრამაზე;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

მდივანი:



*[Handwritten signature]*  
*[Handwritten signature]*

ი.საყვარელიძე

მ.სახოკია